საქართველოს სახელმწიფო პოლიტიკა ელექტროენერგეტიკაში მოკლე წინაისტორია და მიმდინარე პროცესები

20 იანვარი, 2008 წელი

მოკლე წინაისტორია: საქართველოს ელექტროენერგეტიკა 1991-2003 წლებში[1]

აქსიომაა ის, რომ ენერგეტიკული სექტორის გამართულ მუშაობაზე მნიშვნელოვანწილად არის დამოკიდებული ნებისმიერი ქვეყნის შიდა პოლიტიკური სტაბილურობა და ეკონომიკური განვითარება. 1991 წელს, დამოუკიდებლობის მოპოვებისთანავე, საქართველოს ენერგეტიკული სექტორი მძიმე დარტყმის ქვეშ აღმოჩნდა.

საქართველოს ხელისუფლების სურვილი და იმედები, დაეკმაყოფილებინა აშშ-სა და ევროკავშირის ინტერესები (საქართველოს გავლით მიეღოთ კასპიისპირეთის გაზი და ნავთობი) და გამხდარიყო აღმოსავლეთ-დასავლეთის დამაკავშირებელი ენერგეტიკული ჯაჭვის ერთ-ერთი რგოლი, წინააღმდეგობაში მოვიდა რეგიონის დომინანტი ქვეყნის, რუსეთის ინტერესებთან, რომელსაც სურდა, რომ ენერგომატარებლების როგორც მწარმოებელი, ისე გამტარებელი ქვეყანა დასავლეთისათვის მხოლოდ თვითონ ყოფილიყო. ასეთი იყო რეგიონში რუსეთისა და დასავლეთის განვითარებულ ქვეყნებს შორის არსებული გეოსტარტეგიული დაპირისპირების შინაარსი 1993-2002 წლებში. საქართველო, როგორც ენერგეტიკული რესურსების ტრანსპორტირების ალტერნატიული მიმართულების ერთ-ერთი რგოლი, ამ დაპირისპირების ეპიცენტრში აღმოჩნდა.

1993-2002 წლებში სამოქალაქო ომის რეციდივების და რეგიონში არსებული გეოსტრატეგიული ინტერესების დაპირისპირების შედეგად საქართველოს ენერგეტიკული სექტორი ეტაპობრივად დაინგრა. ამ ნგრევას განაპირობებდა როგორც სხვადასხვა საეჭვო ხასიათის ინციდენტები (რომელიც გამოძიების შედეგად დადგენილი ფაქტების საშუალებით შეიძლებოდა დაკვალიფიცირებულიყო როგორც ტერორისტული აქტები), ისე სახელმწიფო ინსტიტუტების უუნარობა, სათანადო მოვლა-პატრონონობა გაეწიათ სასიცოცხლო მნიშვნელობის ენერგოობიექტებისათვის.

უყურადღებობის და მოუვლელობის გამო სერიოზული დარტყმის ქვეშ აღმოჩნდა გენერაციის ობიექტები, ელექტროგადამცემი ხაზები, გაზის მილები და მათთან დაკავშირებული მეურნეობებები. მხოლოდ ენგურჰესზე, რომლის რეაბილიტაცია ამჟამადაც მიმდინარეობს, რამდენიმე ავარია მოხდა, რომელთაგან არც ერთი ბოლომდე არ გამოძიებულა. პირველი ავარია მოხდა 1993 წლის დეკემბერში, სოხუმის დაცემიდან ორი თვის შემდეგ. 1995 წელს თავდასხმის შედეგად მწყობრიდან იქნა გამოყვანილი 500 კილოვატიანი აგერეგატი. ბოლოს, 2002 წლის ნოემბერში, მას ისევ მიადგა სერიოზული ზიანი.

[1]შესავალ ნაწილში გამოყენებულია ავტორის კველვა: Liana Jervalidze "Russian Foreign Energy Policy and Implications on Georgia's Energy Security" published by Global Market Briefs LTD, London, March 2006

ანგარიში მოამზადა „საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველომ" BP საქართველოს მიერ დაფინანსებული პროექტის ფარგლებში. ანგარიში არ ასახავს დონორის მოსაზრებებს

მსგავსი დაუდგენელი ინციდენტები მოხდა გარდაბნის ენერგობლოკებზეც. პირველი მნიშვნელოვანი ზიანი გარდაბნის გაზის გენერაციის ობიექტებს, კერძოდ, ყველაზე ახალ – მეცხრე და მეათე ბლოკებს – 1993 წლის დეკემბერში ხანძრის შედეგად მიადგა. 1998 წლისათვის ეს ბლოკები აღდგენილი იქნა გერმანული ბანკის კრედიტით და 1999 წელს AES თელასს, პირველ ამერიკულ კომპანიას გადაეცა, რომელიც საქართველოს ენერგეტიკულ ბაზარზე 1998 წელს შემოვიდა. 2001[2] წლის დეკემბერში, სამხრეთ კავკასიური მილსადენის შესახებ შახდენიზის კონსორციუმის მიერ გაკეთებული განცხადებიდან რამდენიმე თვის შემდეგ, აფეთქება მოხდა AES თელასის მფლობელობაში გადასულ ენერგობლოკებზეც. ამ აფეთქების შედეგად მეცხრე ბლოკი სერიოზულად დაზიანადა, მეათე ბლოკიდან კი საერთოდ აღარაფერი დარჩა.

ამ ინცინდენტებს შედეგად, ბუნებრივია, ენერგეტიკული სექტორის პარალიზება მოჰყვა, რასაც თან ახლდა ქვეყნის სულ უფრო მეტი დამოკიდებულება მეზობელი ქვეყნებიდან ენერგომატარებლების იმპორტზე. საქართველო ზამთრის განმავლობაში ელექტროენერგიას ძირითადად რუსეთიდან და სომხეთიდან ყიდულობდა[3].

ამ პერიოდში, სამოქალაქო ომისა და ეკონომიკის ნგრევის პირობებში, საქართველოს მოსახლეობის მსყიდველობისუნარიონობა იმდენად დაქვეითდა, რომ AES თელასის მიერ მოხმარებული ელექტროენერგიის საფასურის ამოღების მაჩვენებელი პირველ წელს მხოლოდ 10-20% შეადგენდა. ამ ფონზე აღმოცენდა ენერგო მაფია, რომელიც არ იყო დაინტერესებული, რომ ელექტროენერგია არამსყიდველობისუნარიანი მოსახლეობისთვის მიეწოდებინდა და შედეგად დაიწყო სახელმწიფოს მიერ შესყიდული ელექტროენერგიის რეექსპორტი მეზობელ ქვეყნებში[4]. საქართველოს მოსახლეობას კი ამ დროს ელექტროენერგია მნიშვნელოვანი შეზღუდვებით მიეწოდებოდა.

ელექტროენერგიის სექტორში ამ დროს დადებული გარიგებები იმდენად წამგებიანი და არაგამჭვირვალე იყო, რომ მიუხედავად კონტროლის პალატის მიერ ჩატარებული არაერთი შემოწმებისა, სრული სურათის აღდგენა იმის შესახებ, თუ რა ხდებოდა ამ სფეროში 90-იან წლებში შეუძლებელია. ცნობილია მხოლოდ ის, რაც უკვე აღვნიშნეთ – რომ ამოღების დაბალი მაჩვენებლის გამო, მოსახლეობისათვის ელექტროენერგიის მიწოდება წამგებიანი იყო და რომ წარმოებული და შესყიდული ელქტროეენრგიის დიდი ნაწილი ექსპორტზე და რეექსპორტზე მიდიოდა[5].

1993-2000 წლებში ენერგეტიკულ ობიექტებზე მოხდარი ინციდენტების და ავარიების შედეგების აღმოსაფხვრელად და დაზარალებული ობიექტების რეაბილიტაციის მიზნით,

---

[2] შახ-დენიზის კონსორციუმმა განცხადება საქართველოს გავლით სამხრეთკავკასიური გაზსადენის აშენებისშესახებ 2001 წლის აგვისტოში გააკეთა.

[3] რუსეთის ბირთვული ელექტროსადგურის მეორე ბლოკი ამოქმედდა 1995 წელს, ენგურჰესზე და გარდაბნის გაზის გენერაციის ბლოკებზე მომხდარი ავარიების შემდეგ.

[4] კონტროლის პალატის აქტები 1994-2001 წლები

[5] ქართული ენერგომაფია უშუალოდ თუ არ მონაწილეობდა ენერგოობიექტების მიმართ განხორციელებული აქტების დაგეგმვასა და განხორცილებაში, ის ამ აქტების შედეგად შექმინილი ვითარებით დიდ ფულს შოულობდა.

ანგარიში მოამზადა „საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველომ“ BP საქართველოს მიერ დაფინანსებული პროექტის ფარგლებში. ანგარიში არ ასახავს დონორის მოსაზრებებს

1995-2000 წლებში საქართველოში გრანტების და შეღავათიანი კრედიტების სახით 591 770 150 აშშ დოლარი შემოვიდა. ამ კრედიტებს შორის იყო გერმანიის განვითარების ბანკის კრედიტი, რომელიც 1997-1998 წლებში გარდაბნის მეცხრე და მეათე ბლოკების რეაბილიტაციას მოხმარდა, თუმცა მოგვიანებით, 2001 წლის დეკემბერში, ამ ბლოკების მიმართ განმეორებით მომხდარმა ინციდენტმა ამ კრედიტის ეფექტი გაანულა. აღნიშნული გრანტებისა და კრედიტების მართებული გამოყენებით მაქსიმალური შედეგის მიღწევას სექტორში არსებულმა კორუფციამაც შეუშალა ხელი.

ბოლო საბოტაჟი საქართველოს ენერგეტიკულ ობიექტებზე 2003 წლის "ვარდების რევოლუციის" შემდეგ მაღალი ძაბვის ელექტროგადამცემ ხაზებზე განხორციელდა. კერძოდ, 2004 წლის 15 სექტემბერსა და 2005 წლის მარტს შორის რამდენჯერმე იქნა მწყობრიდან გამოყვანილი დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოს დამაკავშირებელი "ქართლი 1" და "ქართლი 2" და კავკასიონის გადამცემი ხაზები. ამის შემდეგ საქართველოს ენერგეტიკულ ობიექტებზე მსგავს ინციდენტებს ადგილი აღარ ჰქონია.

საქართველოს ელექტროენერგეტიკული სექტორის ბოლო თხუთმეტწლიანი პერიოდის ეს მოკლე ისტორია ცხადყოფს, თუ რატომ ეთმობა ენერგეტიკის სექტორის ობიექტების რეაბილიტაციის საკითხს განსაკუთრებული ადგილი დოკუმენტში "საქართველოს ენერგეტიკის განვითარების ძირითადი მიმართულებების შესახებ", რომელიც საქართველოს პარლამენტმა 2006 წელს მიიღო და რომელსაც ეს კვლევა ეყდნობა.

2003 წლის რევოლუციის შემდეგ განვითარებული მოვლენები

2003 წლის რევოლუციის შედეგად მოსულმა ხელისუფლებამ შეძლო ელექტროენერგეტიკის სექტორის სტაბილიზაცია. როგორც შესავალ ნაწილში იყო აღნიშნული, ბოლო საბოტაჟი ელექტროენერგეტიკის სისტემის წინააღმდეგ 2004 წლის სექტემბერ – 2005 წლის მარტს შორის პერიოდში მოხდა. 2004-2007 წლებში, საბიუჯეტო სახსრების გამოყენებით და საერთაშორისო დონორების დახმარებით, გენერაციის ობიექტებისა და გადამცემი ხაზების რეაბილიტაცია განხორციელდა. ეს პროცესი (რეაბილიტაცია) კვლავაც მიმდინარეობს. ამჟამად ქვეყნის ელექტროენერგეტიკის სისტემა გამართულად მუშაობს და ელექტროენერგიაზე ქვეყანაში არსებულ მოთხოვნას აკმაყოფილებს. დღეს ენერგეტიკის სამინისტროს, როგორც ენერგეტიკული პოლიტიკის განმსაზღვრელი მთავარი ორგანოს ამოცანა ქვეყნის ეკონომიკური განვითარების პარალელურად ენერგომატარებლებზე გაზრდილი მოთხოვნის დაკმაყოფილების სტრატეგიული გეგმა შემუშავებაა.

პარლამენტის მიერ 2006 წლის ზაფხულში მიღებულ დადგენილებაში "საქართველოს ენერგეტიკული სექტორის განვითარების ძირითადი მიმართულებების შესახებ", ენერგოობიექტების კერძო მფლობელობაში გადასვლა ქვეყნის ენერგეტიკის გაჯანსაღების მთავარ პირობად არის მიჩნეული. ამავე დოკუმენტის თანახმად: ენერგეტიკული ობიექტების გასხვისება უნდა მოხდეს ვალებისგან მათი გათავისუფლების შემდეგ და სრულიად გამჭვირვალე ვითარებაში; ბაზარზე მოქმედ აქტიორებს შორის ურთიერთობებს დაარეგულირებს და უფლება-მოვალეობებს განსაზღვრავს ელექტროენერგეტიკული ბაზრის

ანგარიში მოამზადა „საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველომ" BP საქართველოს მიერ დაფინანსებული პროექტის ფარგლებში. ანგარიში არ ასახავს დონორის მოსაზრებებს

წესები; ბაზრის შემდგომი განვითარება ლიბერალური მიმართულებით წარიმართება და მოხდება სრული დერეგულირება.

ამჟამად ელექტროენერგიის დისტრიბუციის უდიდესი ნაწილი (თელასი, ენერგო-პრო) და გენერაციის გარკვეული ნაწილი (ენერგო-პროს მფლობელობაში მყოფი 362 მგვ სიმძლავრის ჰიდროელექტროსადგურები, კახეთის გენერაციის ობიექტიები) განკერძოებულია. კახეთის დისტრიბუციის კომპანიის კერძო მფლობელობაში გადასვლის საკითხი ჯერ ბოლომდე არ არის მიყვანილი. მაღალი ძაბვის გადამცემი ხაზები ქართულ-რუსული ერთობლივი საწარმოს – "გრუზ-ენერგოს" – ხელშია. ელექტროენერგიის ყიდვა-გაყიდვის ოპერაციებს აწარმოებს სისტემის კომერციული ოპერატორი, რომელიც გაერთიანებული საბითუმო ბაზრის ბაზაზე შეიქმნა.

წინამდებარე დოკუმენტი განიხილავს, თუ რამდენად შეესაბამება ელექტროენერგეტიკის სექტორში არსებული ვითარება პარლამენტის მიერ 2006 წელს მიღებული დოკუმენტის ძირითად დებულებებს პრივატიზაციის გამჭვირვალობასთან, ლიბერალიზმთან და დერეგულირებასთან მიმართებაში.

AES თელასი

სააქციო საზოგადოება "რაო-თელასი" დღეს საქართველოს დედაქალაქის ელექტროენერგიის სადისტრიბუციო კომპანიაა. მისი აქციების 75%-ს ფლობს რუსული ელექტროენერგეტიკის გიგანტი, სახელმწიფო კომპანია "ინტერ-რაო", 25%-ს კი – თბილისის მერია. გარდა თბილისის დისტრიბუციისა "ინტერ-რაო", რომელიც არის RAO - UES უცხოური აქტივების მმართველი კომპანია, საქართველოში ფლობს გარდაბნის მეცხრე და მეათე ბლოკებსაც, რომელთაგან 2001 წლის დეკემბრის ავარიის შემდეგ მხოლოდ მეცხრე ბლოკი მუშაობს. "ინტერ-რაო" აგრეთვე ფლობს მდინარე ხრამზე არსებულ ორ ჰიდროლექტროსადგურს.

RAO - UES საქართველოს ენერგეტიკულ ბაზარზე შემოვიდა 2003 წელს, მას შემდეგ რაც მისმა ქვეკომპანია Rao-Nordic-მა AES Corporation-ის ჰოლანდიური ქვეკომპანია Silk Road BV 23 მილიონ აშშ დოლარად შეისყიდა. RAO-Nordic-ი Silk Road BV შესყიდვით თელასის აქციათა 75%-ის მფლობელი გახდა.

AES-ს, თავის მხრივ, თელასი 1998 წელს 22.5 მილიონ აშშ დოლარად ჰქონდა შესყიდული. 1999 წელს AES-მა გარდაბნის მეცხრე და მეათე ბლოკები 16,5 მილიონ აშშ დოლარად შეისყიდა და "ხრამი 1" და "ხრამი 2" ჰიდროელექტროსადგურების 25 წლით მართვის უფლებაც მოიპოვა. 1998 წელს ამერიკული კომპანიის შემოსვლა სტრატეგიულ ნაბიჯად იქნა მიჩნეული და მას ქვეყნის მთელი პოლიტიკური სპექტრი და საზოგადოება განსაკუთრებული კეთილგანწყობით შეხვდა, თუმცა სულ რაღაც ხუთ წელიწადში, კომპანიაში გაჩენილი ფინანსური პრობლემებისა და საქართველოს ხელისუფლებასთან დაახლოებული ჯგუფების მხრიდან ზეწოლის გამო, AES იძულებული გახდა თელასში საკუთარი წილი რუსული სახელმწიფო კომპანია RAO-Nordic-სათვის მიეყიდა და საქართველოდან წასულიყო. ქართული მხარე იმ პერიოდში ამტკიცებდა, რომ AES-ის წასვლა მხოლოდ კომპანიიის ფინანსურ პრობლემებთან იყო დაკავშირებული და რომ AES

ანგარიში მოამზადა „საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველომ" BP საქართველოს მიერ დაფინანსებული პროექტის ფარგლებში. ანგარიში არ ასახავს დონორის მოსაზრებებს

Corporation-მა თავისი აქტივები ყველა პოსტსაბჭოთა ქვეყანაში გაყიდა. რეალურად, AES Corporation-მა მოგვიანებით საქმიანობა გააფართოვა როგორც ყაზახეთში, ისე უკრაინაში და სულ რამდენიმე წლის წინ აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში, კერძოდ, ჩეხეთში და ბოლოს თურქეთშიც შეიძინა აქტივები ენერგეტიკულ სექტორში.

ხუთი წლის წინ სტრატეგიული პარტნიორის AES-ის ქვეყნიდან წასვლამ დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია. ინტერესს იწვევდა ის, რომ კომპანია საქართველოდან წავიდა მას შემდეგ, რაც მოახდინა თბილისის სადისტრიბუციო სისტემის სერიოზული რეაბილიტაცია, მოხმარებული ელექტროენერგიის საფასურის ამოღება 86% პროცენტიან მაჩვენებელზე აიყვანა, მიიღო ელექტროენერგიის იმპორტის და თურქეთში ტრანზიტის უფლება და მალე მოგებაზე უნდა გასულიყო.

AES Silk Road[6] თელასში 10 წლით, კაპიტალის ამოღების წლიური 20%იანი პირობით შემოვიდა. კომპანიამ თელასის რეაბილიტაციის მიზნით 210 მილიონი აშშ დოლარის (სათავო ოფისიდან მოზიდული სახსსები) და 56 მილიონი აშშ დოლარის EBRD[7] და IFC საკრედიტო რესურსების მოზიდვა მოახდინა. დავით ებრალიძის თქმით, რომელიც იმ პერიოდში ეროვნულ დამოუკიდებელ მარეგულირებელ კომისიასთან არსებული მომხმარებელთა უფლებების დამცველი იყო, 2003 წლისათვის (ანუ აქტივების შესყიდვიდან ხუთი წლის თავზე) AES თელასის გრძელვადიანი და მოკლევადიანი ვალდებულებები, ძირითადი კაპიტალისა და პროცენტების ჩათვლით, 825 598 000 ლარს შეადგენდა, რაც იმ დროის გაცვლითი კურსის მიხედვით დაახლოებით 400 მილიონი აშშ დოლარი იყო. ამასთან ერთად, ამ ვალიდან EBRD და IFC მიმართ დავალინება მინიმალური იყო და ის AES-ს უკვე გასტუმრებული ჰქონდა.

AES Corporation-ის 2003 წლის ანგარიშიდან ირკვევა, რომ AES Corporation-მა ვალიდან 210 მილიონი აშშ დოლარი ჩამოწერა, რათა AES თელასის ღირებულება შეემცირებინა (ვალებისგან გაესუფთავებინა) და ის გასაყიდად გამოიტანა.

პარლამენტის ენერგეტიკული კომისიის ექსპერტები მიიჩნევდნენ, რომ AES თელასი გაწეულ დანახარჯებს მიზანდასახულად ბერავდა, რომ შეუძლებელი იყო ასეთ მოკლე ხანში ასეთი მოცულობის ინვესტიციები განეხოციელებინა (გარდაბნის ბლოკების რებილიტაცია გერმანული განვითარების ბანკის კრედიტით მოხდა ვიდრე მას 1999 წელს AES თელასი იყიდდა) და რომ კომპანიას მხოლოდ გამრიცხველიანების მოწესრიგებასთან დაკავშირებული სამუშაოები ჰქონდა ჩატარებული.

არსებობდა მესამე მოსაზრებაც, რაც იმაში მდგომარეობდა, რომ კომპანიას კონტრაქტის მიხედვით კაპიტალური დანახარჯების წლიური 20% ამოღების უფლება ჰქონდა. ასეთ შემთხვევაში მას ხუთ წელიწადში უკვე ამოღებული ექნებოდა რეალურად ჩადებული ინვესტიციები და მოგებაც მიღებული ექნებოდა. ამიტომ არ უჩივლია AES-ს

---

[6] ეს კომპანია მოსკოვში იყო ბაზირებული და იქიდან აწარმოებდა მოლაპარაკებებს პოსტსაბჭოთა სივრცის ქვეყნებში ენერგეტიკული აქტივების შესყიდვაზე. მოსკოვში წარმოებდა მოლაპარაკებები თელასის შესყიდვაზეც.

[7] EBRD-ის ვებგვერდზე მოცემული ინფორმაციის მიხედვით, ბანკმა შ-ს თელასის სარებილიტაციოდ გამოუყო დაახლოებით 30 მილიონი აშშ დოლარი. დანარჩენი 30 მილიონი აშშ დოლარი საერთაშორისო ფინანსურმა კორპორაციამ გაიღო.

ანგარიში მოამზადა „საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველომ“ BP საქართველოს მიერ დაფინანსებული პროექტის ფარგლებში. ანგარიში არ ასახავს დონორის მოსაზრებებს

საერთაშორისო საარბიტრაჟო სასამართლოში ლონდონში, რისი უფლებაც მას კონტრაქტის მიხედვით ჰქონდა (მიუხედვად იმისა, რომ მისი გაძევება თელასიდან მოხდა ზეწოლის შედეგად). არც აშშ-ს საელჩოს გამოუთქვამს პროტესტი მისი ქვეყნის წარმომადგენელი კომპანიის ქვეყნიდან აშკარა გაძევების გამო.

საბოლოო ჯამში, AES-მა თელასი გაყიდა და RAO-Nordic-მა ის 23 მილიონ აშშ დოლარად შეისყიდა[8].

RAO თელასი

მემორანდუმი საქართველოს ხელისუფლებასა და რაო-ს შორის 2007 წლის ივნისში, სრულიად არაგამჭვირვალე ვითარებაში დაიდო. მის შემუშავებაში მონაწილეობა არ მიუღია არც ერთ დამოუკიდებელ ექსპერტს ან ექსპერტთა ჯგუფს. მისი დადების ფაქტი და შინაარსი საზოგადოებისთვის ცნობილი სამხოლოდ 2007 წლის ნოემბერში გახდა[9].

ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პუნქტი, რომელიც ამ მემორანდუმშია ჩადებული, ელექტროენერგიის ტარიფს ეხება. 1998 წლიდან 2008 წლამდე AES-ის სამომხმარებლო ტარიფში გათვალისწინებული იყო AES თელასის მიერ გაწეული კაპიტალური დანახარჯების კომპონენტი, რომელიც თელასის გაყიდვის შემდეგ RAO UES-ის ტარიფშიც გადავიდა. წესით 2008 წლის ბოლოდან თბილისის მოსახლეობისათვის ელექტროენერგიის ტარიფი უნდა შემცირდეს[10], თუმცა მემორანდუმი ტარიფის შემცირებას არ ითვალისწინებს.

დავით ებრალიძე, როგორც მოქალაქეთა ინტერესების დამცველი, აპროტესტებდა იმას, რომ RAO-Nordic-მა, რომელმაც ვალებისგან გათავისუფლებული კომპანია მიიღო და ყიდვისთანავე დამატებითი ინვესტიციები არ განუხორციელებია, სამომხმარებლო ტარიფში კაპიტალის დანახარჯების[11] კომპონენტი შეინარჩუნა. იგი ამ კომპონენტის ტარიფიდან ამოგდებას და სამომხმარებლო ტარიფის შემცირებას მოითხოვდა[12].

2003 და 2004 წლებში საქართველოში ვიზიტად მყოფმა RAO UES-ის გენერალურმა დირექტორმა ტარიფის დაწევის შესაძლებლობის შესახებ ისაუბრა, თუმცა, როგორც ჩანს, საქართველოს ხელისუფლება ამ საკითხს აღარ ჩაღრმავებია, ვინაიდან ტარიფის დაწევაზე 2004 წლის შემდეგ საუბარი შეწყდა. სრულიად საპირისპიროდ, 2005 წლიდან რაო-თელასმა დაიწყო კამპანია ტარიფში საკუთარი წილის გაზრდის შესახებ, რასაც იგი AES-

---

[8] ზოგიერთი ცნობით, რებილიტაციის შემდეგ თბილისის ელექტროსადისტრიბუციო კომპანიის რეალური ღირებულება 500 მილიონ აშშ დოლარს უტოლდებოდა – გაყიდვის წინ მოხმარებული ელექტროენერგიის საფასურის ამოღების მაჩვენებელი 86% შეადგენდა[8], კომპანიის წლიური შემოსავლები კი 70 მილიონ აშშ დოლარი იყო და შესაბამისად, შ სახელმწიფო ბიუჯეტის შემდეგ მეორე იყო შემოსავლების რაოდენობის მიხედვით.

[9] მემორანდუმს ხელი მოეწერა 2007 წლის 20 ივნისს.

[10] 2008 წელს სრულდება AES–თან დადებული კონტრაქტის და ინვესტიციების ამოღების ვადა.

[11] კომპნიის მიერ ჩადებეული თანხა და მასზე დარიცხული საბანკო პროცენტი.

[12] 2000-2002 წლებში მომხმარებელთა უფლებების სახალხო დამცველის დავით ებრალიძის პრეზენტაცია AES თელასსა და რაო-შორის ხელშეკრულების დეტალების შესახებ მან გააკეთა 2005 წლის ზაფხულში სოროსის ფონდში.

ანგარიში მოამზადა „საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველომ“ BP საქართველოს მიერ დაფინანსებული პროექტის ფარგლებში. ანგარიში არ ასახავს დონორის მოსაზრებებს

ის მიერ აღებული კრედიტის (170 მილიონი აშშ დოლარის) დაფარვის აუცილებლობით ხსნიდა. 2005 წელს დამოუკიდებლმა მარეგულირებელმა, არასაკმარისი დასაბუთების საფუძველზე[13], უარი განაცხადა რაო-თელასის მიერ ტარიფის გაზრდის შესახებ განაცხადის დაკმაყოფილებაზე, თუმცა 2006 წელს, ენერგო-პროსათვის დისტრიბუციისა და გენერაციის ობიექტების მიყიდვის წინ, იმავე დამოუკიდებელი მარეგულირებლის გადაწყვეტილებით ელექტოენერგიაზე ზღვრული ტარიფი გაიზარდა და შემოღებული იქნა საფეხურიანი ტარიფი. ამ გადაწყვეტილებით, ფაქტობრივად, რაო-თელასის მოთხოვნა ტარიფის გაზრდის შესახებ ირიბად დაკმაყოფილდა.

რაო-თელასის კომერციულმა დირექტორმა და მისმა მოდგილემ[14] ტარიფთან დაკავშირებით განმარტეს, რომ 2003 წელს (როცა მათ თელასი შეისყიდეს) AES თელასს 400 მილიონი აშშ დოლარის დავალიანება ჰქონდა დაგროვილი. ეს დავალიანება გასასტუმრებლად მათ კომპანიაზე გადმოიწერა და კაპიტალის დანახარჯების კომპონენტის შენარჩუნება სწორედ ამით იყო განპირობებული, თუმცა რაო-ს წარმომადგენლებმა ვერ ახსნეს ის, თუ როგორ უნდა დარჩენოდა AES-ს ამხელა დავალიანება, როცა სათავო ოფისმა მის გაყიდვამდე 210 მილიონი დავალიანება ჩამოწერა. მითუმეტეს, მათ დაადასტურეს, რომ AES-ს EBRD-სა IFC-ის კრედიტი 56 მილიონი აშშ დოლარი უკვე გასტუმრებული ჰქონდა.

საქართველოს ხელისუფლებასა და რაო-თელასს შორის დადებული მემორანდუმში აღნიშნულია, რომ 2008 წელს (AES თელასის მიერ ჩადებული კაპიტალური დანახარჯების ამოღების ვადის ამოწურვის შემდეგ) ელექტროენერგიის ტარიფი არათუ არ შემცირდება, არამედ არ არის გამორიცხული, რომ გაიზარდოს კიდეც. მემორანდუმის თანახმად, ტარიფი 2015 წლამდე არ გაიზრდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ქვეყანაში ინფლაციის მაჩვენებლი 10% ზღვარს არ გადააჭარბებს; ელექტროენერგიის შესყიდვის ტარიფი 10%-ზე მეტად არ გაიზრდება (გაზის ფასის გაზრდის შემთხვევაში გაიზრდება თელასის წილიც ტარიფში, რათა კომპანია არ დაზარალდეს) და არ გაჩნდება ტარიფის დარეგულირების საჭიროება გაცვლითი კურსის ცვლილების გამო[15].

მემორანდუმში ასევე ნათქვამია, რომ კომპანია არ მოითხოვს თბილისში კომპაქტურად ჩასახლებული იძულებით გადაადგილებული პირების მიერ 2007 წლის 1 მარტამდე დაგროვილი დავალიანების დაფარვას. როგორც კომპანიის კომერციულმა ხელმძღვანელებმა თქვეს, კომპანია აპირებს, რომ ვალის ჩამოწერის ანგარიშში ხელისუფლებისგან საგადასახადო შეღავათები მოითხოვოს.

ენერგო-პრო ჯორჯია

2004 წელს, ახალი ხელისუფლების მოსვლის შემდეგ, კიდევ უფრო განმტკიცდა რწმენა იმის შესახებ, რომ ენერგეტიკული სექტორის გაჯანსაღების ერთადერთი გზა

---

[13] მოგვიანებით, 2006 წლის შუა პერიოდში დამოუკიდებელმა მარეგულირებელმა დაამტკიცა საფეხურიანი ტარიფი, რითაც საზოგადეობის ეკონომიურად შედარებით ძლიერ ფენას დააკისრა გაზრდილი ტარიფის მთელი ტვირთი.

[14] უნდა აღინიშნოს, რომ ეს პირები რაო-ს მიერ თელასის შესყიდვის დროს თელასში არ მუშაობდნენ.

[15] იგულისხმება ლარის გაცვლითი კურსი დოლართან.

ანგარიში მოამზადა „საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველომ“ BP საქართველოს მიერ დაფინანსებული პროექტის ფარგლებში. ანგარიში არ ასახავს დონორის მოსაზრებებს

ენერგოობიექტების პრივატიზაცია იყო. ამ დროისთვის, თელასის და აჭარის ენერგოკომპანიის გარდა, სადისტრიბუციო კომპანიები "გაერთიანებულ სადისტრიბუციო კომპანიაში" იყო გაერთიანებული და მათ ესპანური კომპანია "ენერგოკომპანია იბერდოლას" ქვეკომპანია მართავდა. გენერაციის ობიექტები, გარდა კახეთის გენერაციის ობიექტებისა, სახელმწიფო საკუთრებაში იყო. შესაბამისად, დღის წესრიგში დადგა მათი პრივატიზაციის საკითხი.

გაერთიანებული სადისტრიბუციო კომპანიის პრივატიზაციის პირველი გეგმა

საქართველოს იმჟამინდელმა ეკონომიკის მინისტრმა კახა ბენდუქიძემ 2005 წლის მარტში სასტუმრო მარიოტში გამართულ კონფერენციაზე წარმოადგინა გაერთიანებული სადისტრიბუციო კომპანიის პრივატიზაციის პირველი გეგმა. ამ გეგმის მიხედვით, საქართველოს დისტრიბუციისა და გენერაციის ობიექტები, გარდა უკვე პრივატიზებული ობიექტებისა, ორ ლოტად – (1) დასავლეთის გენერაცია და დისტრიბუცია და (2) აღმოსავლეთის გენერაცია და დისტრიბუცია – უნდა გაყიდულიყო. გენერაციის ობიექტებიდან სახელმწიფო საკუთრებაში რჩებოდა მხოლოდ ენგური. გეგმით, ეს ორი კომპანია თავად დაადგენდა გენერაციის და დისტრიბუციის ხარჯებს და ასევე თავად მოახდენდა ხარჯების ოპტიმიზაციას (დამოუკიდებელი მარეგულირების დახმარების გარეშე). ამგვარად, დამოუკიდებელი მარეგულირებლის ფუნქცია მინიმუმადე იქნებოდა დაყვანილი, რაც მის გაუქმებისკენ გადადგმულ ნაბიჯს ნიშნავდა.

სახელმწიფო საკუთრებაში რჩებოდა მხოლოდ ტრანსპორტირება და მისი რეგულირება. ეს გეგმა, მართალია, ხელს უწყობდა ელექტროენერგეტიკის სექტორის დერეგულირებას (ამ სექტორში სახელმწიფოს მონაწილეობის შემცირებას), თუმცა ზღუდავდა ენერგეტიკული ბაზრის ლიბერალიზაციის შესაძლებლობას, ვინაიდან დასავლეთის გენერაცია დასავლეთის დისტრიბუციაზე იყო მიბმული და შედეგად, არც მწარმოებელს და მითუმეტეს არც მომხმარებელს არ მიეცემოდა საშუალება, მისთვის სასურველი მომხმარებელი და მიმწოდებელი აერჩია.

აღნიშნულ გეგმას განხორციელება არ მოჰყოლია. შესაბამისად, დამოუკიდებელი მარეგულირებელი კომისიაც არ გაუქმებულა.

აუქციონები

გაერთიანებული სადისტრიბუციო კომპანიის პირველი აუქციონი 2005 წლის მარტში ჩაატარდა. მასში მონაწილეობის სურვილი მხოლოდ ერთმა კომპანიამ ("ბაგები 2004") გამოხატა, მაგრამ აუქციონი ჩაიშალა. ამის ერთ-ერთ (არაოფიციალური) მიზეზი ის გახდა, რომ კომპანია ხელისუფლების მაღალ თანამდებობის პირთან ასოცირდებოდა, რაც გახმაურდა.

მეორე აუქციონისთვის გაერთიანებული სადისტრიბუციო კომპანიის, აჭარის ენერგოკომპანიისა და ექვსი ჰიდროელექტროსადგურის პაკეტის ფასი 350 მილიონი აშშ დოლარით განისაზღვრა. ასეთი თანხის გადამხდელი კომპანია მაშინ არ გამოჩნდა და შედეგად, აუქციონი გადავადდა. არსებობს მოსაზრება, რომ ასე ძვირად ეს ობიექტები

ანგარიში მოამზადა „საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველომ" BP საქართველოს მიერ დაფინანსებული პროექტის ფარგლებში. ანგარიში არ ასახავს დონორის მოსაზრებებს

აუქციონში მონაწილეობის მსურველი კონკურენტი კომპანიების გზიდან ჩამოშორების მიზნით შეფასდა.

საბოლოოდ, რამდენჯერმე ჩაშლილი მოლაპარაკებების შემდეგ, აღნიშნული პაკეტი 2007 წლის 5 თებერვალს ჩეხურმა ენერგოკომპანიამ, „ენერჯი-პრომ“ შეისყიდა. როგორც მოლაპარაკებები, ისე გაყიდვის პროცესი ისევე გაუმჭვირვალედ წარიმართა, როგორც 2003 წელს RAO-NORDIC-ის მიერ AES თელასის აქტივების შესყიდვა. აქტივები ჩეხურმა ენერგოკომპანიამ არა 350 მილიონ აშშ დოლარად, არამედ 132 აშშ მილიონ დოლარად შეისყიდა, კერძოდ, დასავლეთის ჰიდროელექტროსადგურებში (ლავჯანურჰესი 113 მეგავატი, რიონჰესები 48 მეგავატი, გუმათჰესი 67 მეგავატი, შაორი 38 მეგავატი, ძევრულა 80 მეგავატი, აწი 16 მეგავატი – სულ 362 მეგავატი) მან 73 500 000 აშშ დოლარი გადაიხადა, გაერთიანებულ სადისტრიბუციო კომპანიაში – 32 მილიონი აშშ დოლარი, ხოლო აჭარის ენერგოკომპანიაში – 14 500 000 აშშ დოლარი.

“ენერგო-პროსა“ და საქართველოს მთავრობას შორის დადებულ ხელშეკრულებაში, ბევრ სხვა საინტერესო დებულებასთან ერთად, საყურადღებოა შემდეგი პუნქტები:

- **მყიდველს (ენერგო-პრო) აქვს აქტივების შესყიდვის თავისუფალი რეჟიმის უფლება:** ენერგო-პრო უფლებამოსილია საკუთარი შეხედულებისამებრ განსაზღვროს საბოლოო შესყიდვის განხორციელების ვადები და პირობები (მოცემულ ეტაპზე გადასახდელი თანხის ოდენობა). მყიდველსა და გამყიდველს (ეკონომიკური განვითარების სამინისტროს) შორის ამ საკითხზე შეუთანხმებლობის შემთხვევაში, უპირატესობა მყიდველის გადაწყვეტილებას ენიჭება. ერთადერთი დათქმა არის ის, რომ მყიდველმა გამყიდველს წინასწარ უნდა აცნობოს გადახდის მზადყოფნის შესახებ[16]. აქტივების შესყიდვის ამ ფორმასთან დაკავშირებით უნდა ითქვას, რომ იქმნება შთაბეჭდილება, თითქოს კომპანიას აქტივების შესაძენად სახსრები კი არ შემოაქვს, არამედ წინასწარ დადგენილი მაღალი ტარიფით ამოღებული შემოსავლებით ცდილობს შესყიდვის თანხის დაფარვას.

- **ხელშეკრულებით გათვალისწინებულ სადისტრიბუციო სივრცეში იქნება მხოლოდ ერთი ექსკლუზიური განაწილების ლიცენზია:** ენერგო-პროს სადისტრიბუციო არეალში სხვა ლიცენზიები (გარდა თავად ენერგო-პროს ლიცენზიისა) არ გაიცემა. ეს პუნქტი ზღუდავს ლიბერალური ბაზრის ჩამოყალიბების შესაძლებლობას, რადგან მყიდველი გამორიცხავს თავისი საქმიანობის არეალში კონკურენტის დაშვებას.

- **მყიდველს აქვს შეუზღუდავი გზის უფლება:** თუ ენერგო-პროს მის მფლობელობაში გადასულ აქტივებამდე მისასვლელად დასჭირდება სახელმწიფო ან კერძო საკუთრებაში არსებული ტერიტორიის გამოყენება, იგი თავისუფლდება ამ

[16] 2007 წლის 29 ივნისისათვის, როდესაც ენერგო-პრომ აქტივების ფლობის უფლება მიიღო, მას გადახდილი ჰქონდა მხოლოდ აჭარის ენერგოკომპანიისა (32 მილიონი აშშ დოლარი) და გაერთიანებული სადისტრიბუციო კომპანიის აქტივების (14,5 მილიონი აშშ დოლარი) საფასური. გენერაციის ობიექტების აქტივების ღირებულება (73 მილიონი აშშ დოლარი) დღესაც არ არის დაფარული. შესაბამისად, როგორც ირკვევა, კომპანია იყენებს კონტრაქტით მინიჭებულ უფლებას, აქტივების საფასური მისთვის მისაღებ თავისუფალ რეჟიმში გადაიხადოს.

ანგარიში მოამზადა „საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველომ“ BP საქართველოს მიერ დაფინანსებული პროექტის ფარგლებში. ანგარიში არ ასახავს დონორის მოსაზრებებს

ტერიტორიის მესაკუთრესთვის კომპენსაციის, იჯარის ან სხვა სახის გადასახადის გადახდის ვალდებულებისგან.

- **აქტივებზე უფლება მყიდველს გადაეცემა მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებულ სიმბოლურ ფასად**, დასრულების[17] თარიღიდან ექვსი თვის ვადაში.

- **მარეგულირებელი განსაზღვრავს კომუნალური აღრიცხვის წესებს[18], რომლის მოქმედების ვადა იქნება სულ მცირე ათი წელი:** ენერგო-პროს ინდივიდუალური გამრიცხველიანების დასასრულებლად მიეცემა სულ ცოტა ათწლიანი ვადა. ამ საკითხთან მიმართებაში ჩნდება კითხვა, შესწევს თუ არა კომპანიას, რომელიც აბონენტების ინდივიდუალური გამრიცხველიანებისთვის ათწლიან პერიოდს მოითხოვს, უნარი, 400 მილიონი აშშ დოლარის ინვესტიციები განახორციელოს, როგორც ამას ენერგეტიკის სამინისტროს ვებგვერდზე განთავსებული პრეზენტაცია აცხადებს.

- **უმოკლეს ვადაში, წინასწარი ექვსთვიანი პერიოდის გასვლიდან არაუგვიანეს სამი თვისა, დამოუკიდებელი მარეგულირებელი მიიღებს დადგენილებას ტარიფების ინდექსაციის შესახებ:** ტარიფების ინდექსაცია მოხდება ინფლაციის შესაბამისად, რაც, სავარაუდოდ, ტარიფის ზრდას გამოიწვევს[19].

აქვე მნიშვნელოვანია იმის გათვალისწინებაც, რომ აქტივების ენერგო-პროსთვის მიყიდვამდე მოხდა მათი ვალებისაგან სრული გათავისუფლება, ელექტროენერგიაზე სამომხმარებლო ტარიფის გაზრდა და საფეხურიანი ტარიფის შემოღება. მთავრობამ ინვესტორის შემოსვლამდე ტარიფის წინასწარ გაზრდა იმით გაამართლა, რომ მას ინვესტორის მიმართ (რომელსაც ამ ტარიფის გაზრდა მაინც მოუწევდა) მოსახლეობის შესაძლო არაკეთილგანწყობის[20] თავიდან არიდება სურდა.

რაც შეეხება თავად სამომხმარებლო ტარიფის გაზრდას, ეს აუცილებლობა მთავრობის მიერ დასაბუთებული იყო 2006 წლის იანვარში რუსული გაზის ფასის გაზრდით 1000 კუბურ მეტრზე 235 აშშ დოლარამდე. ქართველ ექსპერტთა ნაწილის აზრით, რუსული გაზის ფასის გაზრდას ელექტროენერგიის ტარიფში ასეთი ცვლილება არ უნდა გამოეწვია, ვინაიდან ელექტროგენერაციაში გაზის წილი 20-23%-ით შემოიფარგლება. შესაბამისად, სამომხმარებლო ტარიფის გაზრდა და მით უმეტეს, საფეხურიანი სამომხმარებლო ტარიფის შემოღება გაუმართლებელად იქნა მიჩნეული. ექსპერტთა ნაწილის აზრით, ისეთი სამომხმარებლო ტარიფის პირობებში, როგორსაც ენერგო-პრო იყენებს, სახელმწიფო კომპანიაც მოახერხებდა სისტემის სარეაბილიტაციო და

---

[17] კონტრაქტის მიხედვით დასრულების თარიღად მიჩნეულია ხელშეკრულების ხელმოწერიდან ექვსი თვის დასრულების პერიოდი.

[18] იგულისხმება საერთო მრიცხველები.

[19] ენერგო-პრო ჯორჯიამ უკვე გააკეთა წინასწარი განაცხადი ტარიფის გაზრდის მოთხოვნის შესახებ. მან ამ თხოვნით დამოუკიდებელ მარეგულირებელს 2007 წლის სექტემბერში მიმართა და ამ ეტაპზე გადაწყვეტილებას ელოდება.

[20] იგულისხმება, რომ ინვესტორი ჩადებული ინვესტიციების ამოღების მიზნით აუცილებლად ტარიფის გაზრდას მოითხოვდა.

ანგარიში მოამზადა „საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველომ“ BP საქართველოს მიერ დაფინანსებული პროექტის ფარგლებში. ანგარიში არ ასახავს დონორის მოსაზრებებს

რეინვესტიციისათვის საჭირო სახსრების მობილიზაციას და თან მოსახლეობიდან აქტივების ე.წ. შესყიდვის თანხების ამოღებაც აღარ იქნებოდა საჭირო.

საზოგადეობაში არსებული წინააღმდეგობის ფონზე პრემიერ-მინისტრ ზურაბ ნოღაიდელის მთავრობამ თავად გადაწყვიტა ტარიფის გაზრდის საკითხი და დამოუკიდებელი მარეგულირებელი მას დაეთანხმა, რაც, რეალურად, დამოუკიდებელი მარეგულირებლის საქმიანობაში არამართლზომიერი ჩარევის აშკარა გამოხატულება იყო.

დასკვნა

აშკარაა, რომ მოსახლეობის მსყიდველობითი უნარი 1993-2000 წლებთან შედარებით დღეს მნიშვნეოლოვნად არის გაზრდილი. ენერგოობიექტების რეაბილიტაციასა და მომხმარებელთა ინდივიდუალურ და ჯგუფურ გამრიცხველიანებასთან ერთად გაიზარდა მოხმარებული ელექტროენერგიის საფასურის ამოღების მაჩვენებელიც (ის 100%-იან ნიშნულს მიუახლოვდა). საქართველოს ენერგეტიკაში დღეს არსებული ვითარება მომგებიანი ბიზნესის წარმოების შესაძლებლობას იძლევა, ამიტომ, თუ 1993-2000 წლებში ელექტროენერგიის შიდა ბაზარზე გაყიდვა არახელსაყრელი იყო და არსებული რესურსის მინიშვენელოვანი ნაწილი მეზობელ ქვეყნებში იყიდებოდა, ამჟამად მთელი რესურსი ქვეყნის ოცდაოთხსაათაინ მომარაგებას ემსახურება, რაც თავისთავად დადებითი ფაქტია, თუმცა ამ კვლევის ფარგლებში მოპოვებული მასალებიდან გამომდინარე მივდივართ დასკვნამდე, რომ პარლამენტის მიერ მიღებულ დოკუმენტში "საქართველოს ენერგეტიკული სექტორის განვითარების ძირითადი მიმართულებების შესახებ" გაცხადებული პრიორიტეტები – გამჭვირვალობა, ლიბერალური ენერგეტიკული ბაზრის მიმართულებით მოძრაობა და დერეგულირება – სახელმწიფო ელექტროენერგეტიკულ პოლიტიკაში ჯერ არ აისახება.

- **გამჭვირვალობა:** ენერგო-პროსთან წარმოებული მოლაპარაკებების პროცესი და დამდგარი შედეგი არ მიუთითებს იმაზე, რომ ახალი ხელისუფლების პირობებში სათანადო ყურადღება ექცევა გამჭვირვალობის ხელშეწყობას. ამ ანგარიშში განხილულ ორ გარიგებას (რაო და ენერგო-პრო) ერთი აქვს საერთო: ორივე შემთხვევაში კერძო ინვესტორებთან გამართული მოლაპარაკებები არაგამჭვირვალედ წარიმართა.

- **ლიბერალური ბაზრის მიმართულებით მოძრაობა:** განხილული ხელშეკრულებების ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრობლემას ისიც წარმოადგენს, რომ ისინი არ არის მიმართული ბაზრის ლიბერალიზაციისკენ. პირიქით, იქმნება შთაბეჭდილება, რომ ყალიბდება მონოპოლური სტრუქტურები. მაგალითისთვის, ენერგო-პრო ხელშეკრულებით ითხოვს, რომ მისი საქმიანობის არეალში სხვა მიწოდების ან დისტრიბუციის ლიცენზიანტი არ იქნას დაშვებული.

- **დერეგულირება:** ენერგო-პროსთან დადებული კონტრაქტი ზღუდავს დერეგულირების შესაძლებლობასაც. როგორც ელექტროენერგიის შესყიდვის, ისე გადაცემისა და დისპეჩერიზაციის ტარიფები წინასწარ, დამოუკიდებელი

ანგარიში მოამზადა „საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველომ“ BP საქართველოს მიერ დაფინანსებული პროექტის ფარგლებში. ანგარიში არ ასახავს დონორის მოსაზრებებს

მარეგულირებლის მიერ უნდა იყოს დარეგულირებული და შეესაბამებოდეს ხელშეკრულებით გაწერილ ტარიფებს.

ანგარიში მოამზადა „საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველომ“ BP საქართველოს მიერ დაფინანსებული პროექტის ფარგლებში. ანგარიში არ ასახავს დონორის მოსაზრებებს